

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №289
2019 წლის 13 დეკემბერი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგ. კოდი: 190020020.35.157.016342) დამტკიცებულ დანართში „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ავთანდილ მუხაშავრია

დანართი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	10,129.1	11,702.7	3,440.4	8,262.3	16,841.0	7,229.5	9,611.5	10,638.5	12,761.9	14,503.9
გადასახადები	3,365.1	3,280.8	0.0	3,280.8	7,793.3	0.0	7,793.3	9,196.6	10,857.0	12,599.0
გრანტები	6,403.5	7,552.0	3,440.4	4,111.6	7,446.5	7,229.5	217.0	220.0	292.0	292.0
სხვა შემოსავლები	360.5	869.9	0.0	869.9	1,601.2	0.0	1,601.2	1,221.9	1,612.9	1,612.9
ხარჯები	6,395.0	7,379.5	0.0	7,379.5	9,355.2	218.7	9,136.5	8,209.9	8,743.3	8,785.3
შრომის ანაზღაურება	1,363.9	2,145.3	0.0	2,145.3	2,365.0	0.0	2,365.0	2,217.0	2,217.0	2,217.0
საქონელი და მომსახურება	2,122.5	2,034.8	0.0	2,034.8	2,722.2	0.0	2,722.2	2,134.8	2,183.2	2,240.2



პროცენტი	139.6	162.6	0.0	162.6	129.7	0.0	129.7	129.7	129.7	129.7
სუბსიდიები	2,215.3	2,578.7	0.0	2,578.7	3,423.0	218.7	3,204.3	3,075.0	3,370.0	3,515.0
გრანტები	20.0	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	417.7	274.9	0.0	274.9	518.4	0.0	518.4	505.0	645.0	435.0
სხვა ხარჯები	116.0	163.2	0.0	163.2	171.9	0.0	171.9	148.4	198.4	248.4
საოპერაციო საღდო	3,734.1	4,323.3	3,440.4	882.9	7,485.8	7,010.8	475.0	2,428.6	4,018.6	5,718.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,010.1	3,499.6	2,953.2	546.4	10,235.9	8,080.7	2,155.2	2,305.0	3,895.0	5,595.0
ზრდა	5,034.5	3,547.6	2,953.2	594.4	10,632.7	8,080.7	2,552.0	2,335.0	3,935.0	5,635.0
კლება	24.4	48.0	0.0	48.0	396.8	0.0	396.8	30.0	40.0	40.0
ზრდა	0.0	730.5	487.2	243.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,339.7	0.0	0.0	0.0	2,873.6	1,069.9	1,803.7	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,339.7	0.0			2,873.6	1,069.9	1,803.7	0.0	0.0	0.0
კლება	63.7	93.2	0.0	93.2	123.5	0.0	123.5	123.6	123.6	123.6
საშინაო	63.7	93.2	0.0	93.2	123.5	0.0	123.5	123.6	123.6	123.6
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	10,153.5	11,750.7	3,440.4	8,310.3	17,237.8	7,229.5	10,008.3	10,668.5	12,801.9	14,543.9
შემოსავლები	10,129.1	11,702.7	3,440.4	8,262.3	16,841.0	7,229.5	9,611.5	10,638.5	12,761.9	14,503.9
არაფინანსური აქტივების კლება	24.4	48.0	0.0	48.0	396.8	0.0	396.8	30.0	40.0	40.0
გადასახდელები	11,493.2	11,020.3	2,953.2	8,067.1	20,111.4	8,299.4	11,812.0	10,668.5	12,801.9	14,543.9
ხარჯები	6,395.0	7,379.5	0.0	7,379.5	9,355.2	218.7	9,136.5	8,209.9	8,743.3	8,785.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,034.5	3,547.6	2,953.2	594.4	10,632.7	8,080.7	2,552.0	2,335.0	3,935.0	5,635.0
ვალდებულების კლება	63.7	93.2	0.0	93.2	123.5	0.0	123.5	123.6	123.6	123.6
ნაშთის ცვლილება	-1,339.7	730.5	487.2	243.3	-2,873.6	-1,069.9	-1,803.7	0.0	0.0	0.0



მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16841.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	10,129.1	11,702.7	3,440.4	8,262.3	16,841.0	7,229.5	9,611.5	10,638.5	12,761.9	14,503.9
გადასახადები	3,365.1	3,280.8	0.0	3,280.8	7,793.3	0.0	7,793.3	9,196.6	10,857.0	12,599.0
გრანტები	6,403.5	7,552.0	3,440.4	4,111.6	7,446.5	7,229.5	217.0	220.0	292.0	292.0
სხვა შემოსავლები	360.5	869.9	0.0	869.9	1,601.2	0.0	1,601.2	1,221.9	1,612.9	1,612.9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7793.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	3,365.1	3,280.8	0.0	3,280.8	7,793.3	0.0	7,793.3	9,196.6	10,857.0	12,599.0
საშემოსავლო გადასახადი	547.6	125.5	0.0	125.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	2,817.5	3,155.3	0.0	3,155.3	2,800.0	0.0	2,800.0	2,955.0	3,055.0	3,055.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,602.4	1,850.1	0.0	1,850.1	2,000.0	0.0	2,000.0	2,200.0	2,300.0	2,300.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	26.4	25.2	0.0	25.2	5.0	0.0	5.0	5.0	5.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.2	0.0	0.0	0.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	3.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	26.2	25.2	0.0	25.2	2.0	0.0	2.0	2.0	2.0	2.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	399.7	415.0	0.0	415.0	250.0	0.0	250.0	250.0	250.0	250.0



მიწაზე										
ფიზიკური პირებიდან	267.2	304.6	0.0	304.6	150.0	0.0	150.0	150.0	150.0	150.0
იურიდიული პირებიდან	132.5	110.4	0.0	110.4	100.0	0.0	100.0	100.0	100.0	100.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	789.0	865.0	0.0	865.0	545.0	0.0	545.0	500.0	500.0	500.0
ფიზიკური პირებიდან	29.6	24.9	0.0	24.9	30.0	0.0	30.0	50.0	50.0	50.0
იურიდიული პირებიდან	759.4	840.1	0.0	840.1	515.0	0.0	515.0	450.0	450.0	450.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	4,993.3	0.0	4,993.3	6,241.6	7,802.0	9,544.0
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	4,993.3	0.0	4,993.3	6,241.6	7,802.0	9,544.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	4,993.3	0.0	4,993.3	6,241.6	7,802.0	9,544.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7446.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გრანტები	6,403.5	7,552.0	3,440.4	4,111.6	7,446.5	7,229.5	217.0	220.0	292.0	292.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6,403.5	7,552.0	3,440.4	4,111.6	7,446.5	7,229.5	217.0	220.0	292.0	292.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,531.6	4,111.6	0.0	4,111.6	217.0	0.0	217.0	220.0	292.0	292.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,314.6	3,894.6	0.0	3,894.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	217.0	217.0	0.0	217.0	217.0	0.0	217.0	220.0	292.0	292.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,871.9	3,440.4	3,440.4	0.0	7,229.5	7,229.5	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	2,731.6	3,300.1	3,300.1	0.0	4,178.5	4,178.5	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	894.0	894.0	0.0	0.0	0.0	0.0
პანელები	0.0	0.0	0.0	0.0	57.2	57.2	0.0	0.0	0.0	0.0
სკოლების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	500.0	500.0	0.0	0.0	0.0	0.0



სხვა პროექტები	140.3	140.3	140.3	0.0	1,599.8	1,599.8	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0	0.0	444.9	444.9	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0	0.0	223.7	223.7	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	140.3	140.3	140.3	0.0	218.7	218.7	0.0	0.0	0.0	0.0
მ.შ. სხვა დანარჩენი	0.0	0.0	0.0	0.0	712.5	712.5	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1601.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
სხვა შემოსავლები	360.5	869.9	0.0	869.9	1,601.2	0.0	1,601.2	1,221.9	1,612.9	1,612.9
შემოსავლები საკუთრებიდან	153.5	637.4	0.0	637.4	1,021.2	0.0	1,021.2	1,053.9	1,429.9	1,429.9
პროცენტები	87.8	107.4	0.0	107.4	160.0	0.0	160.0	90.0	100.0	100.0
რენტა	65.7	530.0	0.0	530.0	861.2	0.0	861.2	963.9	1,329.9	1,329.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	56.2	515.7	0.0	515.7	853.2	0.0	853.2	963.9	1,329.9	1,329.9
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	9.5	14.3	0.0	14.3	8.0	0.0	8.0	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	89.5	75.4	0.0	75.4	88.0	0.0	88.0	68.0	73.0	73.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	21.1	8.0	0.0	8.0	23.0	0.0	23.0	8.0	8.0	8.0
სანებართვო მოსაკრებელი	19.7	7.9	0.0	7.9	15.0	0.0	15.0	6.0	6.0	6.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1.4	0.1	0.0	0.1	8.0	0.0	8.0	2.0	2.0	2.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	68.4	67.4	0.0	67.4	65.0	0.0	65.0	60.0	65.0	65.0



შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	68.4	67.4	0.0	67.4	65.0	0.0	65.0	60.0	65.0	65.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	117.5	116.9	0.0	116.9	160.0	0.0	160.0	100.0	110.0	110.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	40.2	0.0	40.2	332.0	0.0	332.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9355.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	6,395.0	7,379.5	0.0	7,379.5	9,355.2	218.7	9,136.5	8,209.9	8,743.3	8,785.3
შრომის ანაზღაურება	1,363.9	2,145.3	0.0	2,145.3	2,365.0	0.0	2,365.0	2,217.0	2,217.0	2,217.0
საქონელი და მომსახურება	2,122.5	2,034.8	0.0	2,034.8	2,722.2	0.0	2,722.2	2,134.8	2,183.2	2,240.2
პროცენტი	139.6	162.6	0.0	162.6	129.7	0.0	129.7	129.7	129.7	129.7
სუბსიდიები	2,215.3	2,578.7	0.0	2,578.7	3,423.0	218.7	3,204.3	3,075.0	3,370.0	3,515.0
გრანტები	20.0	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	417.7	274.9	0.0	274.9	518.4	0.0	518.4	505.0	645.0	435.0
სხვა ხარჯები	116.0	163.2	0.0	163.2	171.9	0.0	171.9	148.4	198.4	248.4

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10235.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 10632.7 ათასი ლარის ოდენობით:

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6.4	16.9	160.8	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,028.1	3,530.7	9,935.6	2,335.0	3,935.0	5,635.0



04 00	განათლება	0.0	0.0	513.3	0.0	0.0	0.0
სულ		5,034.5	3,547.6	10,632.7	2,335.0	3,935.0	5,635.0

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 396.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
არაფინანსური აქტივების კლება	24.4	48.0	0.0	48.0	396.8	0.0	396.8	30.0	40.0	40.0
ძირითადი აქტივები	3.7	33.0	0.0	33.0	52.0	0.0	52.0	0.0	0.0	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	20.7	15.0	0.0	15.0	344.8	0.0	344.8	30.0	40.0	40.0
მიწა	20.7	15.0	0.0	15.0	344.8	0.0	344.8	30.0	40.0	40.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,260.3	2,882.2	3,680.9	3,168.9	3,217.3	3,274.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,260.3	2,882.2	3,427.7	3,168.9	3,217.3	3,274.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,260.3	2,882.2	3,413.0	3,118.9	3,117.3	3,124.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	14.7	50.0	100.0	150.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	253.2	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	253.2	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	86.6	102.7	124.8	113.0	113.0	113.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



704	ეკონომიკური საქმიანობა	3,136.2	3,235.8	7,030.2	588.3	788.3	1,288.3
7045	ტრანსპორტი	2,965.4	3,232.1	6,105.0	583.4	783.4	1,283.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,965.4	3,232.1	6,105.0	583.4	783.4	1,283.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	170.8	3.7	925.2	4.9	4.9	4.9
705	გარემოს დაცვა	1,968.0	1,068.5	1,675.0	1,020.3	1,070.3	1,120.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	647.6	900.3	933.4	1,015.3	1,065.3	1,115.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	623.8	5.3	5.3	5.0	5.0	5.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	696.6	162.9	736.3	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,672.0	1,389.9	3,579.1	2,575.0	3,975.0	5,175.0
7061	ბინათმშენებლობა	672.1	611.0	2,682.7	1,530.0	2,130.0	2,830.0
7063	წყალმომარაგება	736.8	472.7	592.6	650.0	1,150.0	1,350.0
7064	გარე განათება	263.1	306.2	303.8	395.0	695.0	995.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	82.9	99.7	103.0	100.0	110.0	120.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	82.9	99.7	103.0	100.0	110.0	120.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	866.2	916.7	1,178.5	913.0	998.0	1,033.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	164.4	194.9	90.2	200.0	250.0	260.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	701.8	721.8	1,088.3	713.0	748.0	773.0
709	განათლება	774.3	845.6	1,219.5	1,500.0	1,700.0	1,800.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	774.3	845.6	1,219.5	1,500.0	1,700.0	1,800.0
710	სოციალური დაცვა	646.7	479.2	1,520.4	690.0	830.0	620.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	293.8	121.3	376.0	300.0	350.0	250.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	293.8	121.3	376.0	300.0	350.0	250.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	159.8	158.2	185.0	185.0	185.0	185.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	84.5	88.8	94.3	115.0	125.0	115.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	108.6	110.9	126.0	90.0	170.0	70.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	739.1	0.0	0.0	0.0
	სულ	11,493.2	11,020.3	20,111.4	10,668.5	12,801.9	14,543.9



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2761.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით;

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (გარდამავალი ნაშთი) 2885.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 123.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 14.7 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯვის განკარგვა მოხდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 217.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 103,0 ათასი ლარი (მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10,8 ათასი ლარი);

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 124,8 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 0. ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული



მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გაწმენდა, აღნიშნულ ღონისძიებისთვის განსაზღვრულია 30.0 ათასი ლარი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2015 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 203,3 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 10,0 ათასი ლარი (2020-2021 წწ.).

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის განისაზღვროს 256.0 ათასი ლარი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად – 100.5 ათასი ლარი.

სოფელ ასურეთში ყაზბეგის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განისაზღვროს 158,2 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი 3 262,6 ლარითა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 167,8 ათასი ლარით 2019 წელს დაფინანსდეს 670.8 ათასი ლარი (მათ შორის, განკარგულებით გათვალისწინებული 539.9 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 59.9 ათასი ლარი) და დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- სოფელ ახალშენის გზის რეაბილიტაცია - განკარგულებით გამოყოფილი 301.3 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15.9 ათასი ლარი;
- სოფ. ასურეთში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია - განკარგულებით გამოყოფილი 238.6 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 44,0 ათასი ლარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 დეკემბრის № 2426 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი 292,8 ლარით დაფინანსდეს ქ. თეთრიწყაროში მარაბდის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით (ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №6, 2019 წლის 12 თებერვლის №214, 2019 წლის 01 მარტის №450, 2019 წლის 17 მაისის №1125, 2019 წლის 25 ივნისის №1478, 2019 წლის 21 აგვისტოს №1868 და 2019 წლის 10 დეკემბრის №2577 განკარგულებები) გამოყოფილი 4178,5 ათასი ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 1037,1 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- სოფელ შავსაყდარში მისასვლელი გზის მოწყობა 1222,2 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 1161,1 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 61,1 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 5%), რასაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატოს სამუშაოების ღირებულების დარჩენილი ოდენობა 16,7 ათასი ლარი;
- ქ.თეთრიწყაროში გორამიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობა 249,6



- ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 237,1 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12,5 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 5%);
- ქ.თეთრიწყაროში წმ. ნინოს ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 172,4 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 163,8 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8,6 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 5%);
- სოფელ ვაშლოვანის სოფელ კოდასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - პროექტის საერთო ღირებულებიდან, 2559,6 ათასი ლარი მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 1758,8 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 800,8 ათასი ლარი
- ქ.თეთრიწყაროში ჭავჭავაძის ჩიხის საავტომობილო გზის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 145,0 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 129,1 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15,9 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 11%);
- ქ.თეთრიწყაროში აბანოს ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები 41,7 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 37,2 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4,5 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 11%);
- დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 729,0 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 627,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 102,0 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 14%);
- ქ.თეთრიწყაროში ქეთევან წამებულის ქუჩის რეაბილიტაცია 96,1 ათასი ლარით, მათ შორის: განკარგულებით გამოყოფილი 64,5 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 31,6 ათასი ლარი (სამუშაოების ღირებულების 33%);

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის № 1280 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე გამოყოფილი 130,6 ათასი ლარიდან 2019 წელს გათვალისწინებულ იქნეს 0.6 ათასი ლარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანის სოფელ კოდასთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით განისაზღვროს 4.2 ათასი ლარი (2018-2019 წწ.).

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის (2019-2020 წწ.) გათვალისწინებულ იქნეს 10,0 ათასი ლარი.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების (სასმელი წყლის) ქსელის მოვლა-შენახვა. ბიუჯეტის ფარგლებში 430,5 ათასი ლარით დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას.

- წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოსამზადებლად განისაზღვროს 135,0 ათასი ლარი.
- სოფელ მარაბდაში მდებარე სასმელი წყლის რეზერვუარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ააიპ „მარაბდა 2011“-ის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 7.1 ათასი ლარი.

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკასა და სოფელ ირაგაში ახალი წყალშემკრები



რეზერვუარების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით განისაზღვროს 9,9 ათასი ლარი (2018-2019 წ.წ.).

1.2.2. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროში მდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები. ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რომლისათვისაც გათვალისწინებულია 5,3 ათასი ლარი.

1.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში 80,0 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - შენახვა. 202,8 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების ქსელის მიერ გახარჯული ელენერგიის ღირებულება.

- ტექნიკური პირობის ასაღება განისაზღვროს 10,0 ათასი ლარი.

1.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, 839.8 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ნაგვის სეპარირებისათვის საჭირო მასალების და მომსახურებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 4,9 ათასი ლარი.

ნაგვის სეპარირებისათვის საჭირო შენობის ასაშენებლად განსაზღვრულ იქნეს 80,7 ათასი ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2016 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 49,9 ათასი ლარი.

უმეტაღყურედ დარჩენილი ძაღლების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებულ იქნეს 4.9 ათასი ლარი.

ნაგვის ურნების შესამენად 3,0 ათასი ლარი.

1.2.5. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2019 წლის განმავლობაში თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით გამოყოფილი 843,3 ათასი ლარიდან დარჩენილი ეკონომია 226.7 ათასი ლარი გათვალისწინებულ იქნეს 2019 წელი.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 2017 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს № 1679 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი 175.0 ათასი ლარიდან 2019 წელს 35.0 ათასი ლარით დაფინანსდეს სოფელ დიდგორის, სოფელ კლდეისის და სოფელ ზირბითის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების თანახმად თეთრიწყაროს



მუნიციპალიტეტისათვის (სოფელ გოლთეთის გზის რეაბილიტაცია) განსაზღვრული 115,0 ათასი ლარიდან დარჩენილი ეკონომია 6.3 ათასი ლარი გათვალისწინებული იქნეს 2019 წელს

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 19 აპრილის №836 განკარგულების (ცვლილება 30,7,2019 წლის №1721 განკარგულება) შესაბამისად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა 444,9 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით 23,4 ათასი ლარი. საიდანაც დაფინანსდება შემდეგი პროექტები:

სოფელ ჯორჯიაშვილში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებისათვის განისაზღვრა 127.6 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 6.7 ათასი ლარი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხისის მიმდებარედ ფარცხისის წყლის კალაპოტში გაბიონის მოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ იქნეს – 174.8 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 9.2 ათასი ლარი

ქ.თეთრიწყაროში მდებარე სანიაღვრე არხების (ე.წ. ხევების) მოწყობა რეაბილიტაციაზე გათვალისწინებული იქნეს 142.5 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 7.5 ათასი ლარი

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.

1.3.1. საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. მათ შორის, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მშენებლობა და მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია, ახალაშენებული საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა.

- დაბა მანგლისში „სოფლის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულ იქნეს 17,5 ათასი ლარი.
- სოფელ მარაბდის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულ იქნეს 128,9 ათასი ლარი.
- სოფელ დიდგორში სპორტული მოედნის მოწყობისათვის განსაზღვრულ იქნეს 60,0 ათასი ლარი.
- დაბა მანგლისში სპორტული მოედნის მოწყობისათვის განსაზღვრულ იქნეს 38,7 ათასი ლარი.
- სოფელ ხაიშში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გათვალისწინებულ იქნეს 10.0 ათასი ლარი. (პროექტის ღირებულება 38 106, 11 ლარი(დ.დ.გ. ჩათვლით, მრავალბინიანი შესყიდვა 2019-2020 წწ).
- შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის განისაზღვროს 30,0 ათასი ლარი.
- სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის განისაზღვროს 5.0 ათასი ლარი.
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიჭკავეში საბავშვო ბაღის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის განისაზღვროს 174,9 ათასი ლარი (2018 წ. -2019 წ.);
- დ.მანგლისის სარიტუალო დარბაზის სახურავისა და სამზარეულოს მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 48,7 ათასი ლარი (2018 წ. -2019 წ.);
- ქ. თეთრიწყაროში („ნამტვრიანის“) სტადიონების მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 18.4 ათასი ლარი (2018 წ. -2019 წ.).
- ქალაქ თეთრიწყაროში სტალინის ქუჩა №56-ში და რუსთაველის ქუჩა №34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განისაზღვროს 27,1 ათასი ლარი (2018 წ. -2019 წ.);
- ირაგის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ააიპ „ირაგა 2013“-ის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნას 10.6 ათასი ლარი.



- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარაში, სოფელ ალექსეევკაში, სოფელ ჭივჭავში, სოფელ მაწევანში და სოფელ შავსაყდარში მდებარე სარიტუალო დარბაზების დასრულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით განისაზღვროს (2018-2019 წ.წ.) 3,2 ათასი ლარი.
- ქ. თეთრიწყაროში თამარ მეფის ქ.№38 ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით განისაზღვროს (2018-2019 წ.წ.) 20,7 ათასი ლარი

საქართველოს მთავრობის 17 ივნისის №1371 განკარგულების (ცვლილება 30,07,2019 წლის 1720 განკარგულება, 21 აგვისტოს №1869 განკარგულება, 4 ოქტომბერი №2126 განკარგულება) საფუძველზე „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ იქნა 712.5 ათასი ლარი. მათ შორის :

- ქ.თეთრიწყაროში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა 259.5 ათასი ლარი
- დაბა მანგლისში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა 269,0 ათასი ლარი
- სოფელ ორბეთში მდებარე ამბულატორიის რეაბილიტაცია 25,0 ათასი ლარი
- სოფ. ვაშლოვანში მდებარე ამბულატორიის რეაბილიტაცია 18,0 ათასი ლარი
- სოფელ კოდაში მდებარე ამბულატორიის რეაბილიტაცია 31,1 ათასი ლარი
- სოფელ ბორბალოში მდებარე ამბულატორიის რეაბილიტაცია 28,4 ათასი ლარი
- სოფელ პანტიანში ახალი ამბულატორიის მშენებლობა 81,5 ათასი ლარი,

შენობა-ნაგებობის დემონტაჟის, ორგანიზაციის პროექტისა და შესაბამისი სადემონტაჟო სამუშაოებისათვის განისაზღვროს 10.0 ათასი ლარი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნეს 8.5 ათასი ლარი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მეტალოპლასტმასის ფანჯრების მონტაჟის (შემდგომი შელესვითი სამუშაოებით) შესყიდვაზე გათვალისწინებული იქნეს 7,1 ლარი.

შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, სამუშაოებისათვის ასევე, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოსამზადებლად განისაზღვროს 82,9 ათასი ლარი.

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 26 სექტემბრის №2058 განკარგულების შესაბამისად 192,3 ათასი ლარით (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის № 265 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი 85437(ოთხმოცდახუთი ათას ოთხას ოცდაჩვიდმეტი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის № 1401 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი 8 896 (რვა ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის № 136 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 97749 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ორმოცდაცხრა) ლარი) დაფინანსდეს ქალაქ თეთრიწყაროში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

სოფელ ვაშლოვნის, სოფელ კოდის და სოფელ ბორბალოს ამბულატორიებისათვის გაზსადენის შიდაქსელის მშენებლობის მომსახურებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 1.8 ათასი ლარი

1.3.2. ურბანული ტერიტორიის მოწყობა, (პროგრამული კოდი 03 03 02)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თეთრიწყაროს ურბანულ განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) (პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთობლივი დაფინანსებით შემდგომი გრეიდერის შემდგომ წლებში მოვლა-პატრონობა და შენახვა, რომელსაც უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური.

სპეც. ტექნიკის შესაძენად განსაზღვრული იქნეს 500,0 ათასი ლარი.

25.0 ათასი ლარით განხორციელდეს ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება .

სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობისათვის გათვალისწინებულ იქნეს 4,9 ათასი ლარი.

სექციური სიჩქარის და ვიდეო კონტროლის სამეთვალყურეო კამერების განთავსებისას შესაძლო ვიდეო/ფოტოგადაღების შესახებ სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების შესყიდვისა და მონტაჟის მიზნით გათვალისწინებული იქნეს 10,0 ათასი ლარი.

სოფელ სამშვილდის სკოლის ტერიტორიაზე კომბინირებული ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობისათვის 10% თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს 5,9 ათასი ლარი.

